

# ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №21  
2018 წლის 6 აგვისტო

დაბა ჩხოროწყუ

**„ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) პირებზე სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 3 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

## მუხლი 1

„ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) პირებზე სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 3 იანვრის №1 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 09/01/2018 წ., სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.107.016304) შეტანილი იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართის:

ა) მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სამედიცინო მომსახურების ღონისძიებების დაფინანსება პაციენტის დაუფინანსებელ წილში განისაზღვროს:

ა) 1000-ლარამდე ღირებულების შემთხვევაში – 20-დან 40%-მდე ოდენობით;

ბ) 1001-დან 2000-ლარამდე ღირებულების შემთხვევაში – 20%-დან 40%-მდე ოდენობით;

გ) 2001-ლარიდან ზემოთ ღირებულების შემთხვევაში – 20-დან 40%-მდე ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 1500 ლარისა;

დ) საკეისრო კვეთით და ფიზიოლოგიური გზით მშობიარობისას – არაუმეტეს შესაბამისი სახელმწიფო დაფინანსების თანხის 30-დან 50 %-მდე ოდენობით.“;

ბ) მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) პირებზე, რომლებიც საჭიროებენ სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობას.“.

## მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარის  
მოვალეობის შემსრულებელი

კობა ჯიქია

